№ 86 აპრილი 21, კვირა

1891

აპრილი 21, კვირა № 86

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს

თუვე	მან.	კ.	თუვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877--1891 ქრისტე აღსდგა! 1877—1891

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 26 აპრილს.

იერემია ანტონის ძე ჩიქოვანი, თებრონია დიმიტრის ასული მდივანისა, მარიამ გასილის ასული, იულია გასილის ასული და გიორგი გასილის ძე მდივნები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველის მეუღლისას, მეორის ასულისას და მესამეთა დისას ეკატერინე გასილის ასულისას და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზე 23 აპრილს, სამშაბათს, დილის 9 საათზე, სადგურიდამ (ვერის სასაფლაოს ახლო, სახლი ცაგარლისა) კუკიის სასაფლაოზე. (1—1)

შურის-ძიება

(ამბავი სოფლის ცხოვრებიდამ)

გარიჟრაჟის ბინდ-ბუნდი იყო... ეკკლესიის ზარმა საამურად დაიგუგუნა... ეს იყო პირველი მახარობელი ქრისტეს დიდებულის აღდგომისა. მთელი სოფელი ფეხზე დადგა და ფაცა-ფუცი დაიწყო... ზარის ხმაზე ყველა გახარდა და ეს სიხარული ქალსა თუ კაცს, მოხუცებულს თუ ახალგაზდას უმანკო ღიმილად გამოეხატა სახეზე... ყველა ირთვება და იკაზმება, ყველა ხარობს და დღესასწაულობს. ოთხმოცის წლის ბებიამ დღეს ათის წლის შვილის-შვილს მოასწრო ტანთ-ჩაცმა. დღემდე მოხრილი და მოკუტული, ამ დილაზე გამართულა, წელში გასწორებულა, მუხლებში ღონე მისცემია, გული გაძლიერებია და სული გაცხოველებია. ასე გეგონებათ ხელახლად გადახალისდა და გაჭაბუკდაო... ის უკვე გაეშურა ეკკლესიისაკენ და საკვირველი ისაა, რომ ჯოხი, რომელსაც მესამე ფეხს ეძახდა და დღემდე ხელიდამ არ იშორებდა, დღეს არც-კი მოუგონებია...

დიდის ზარის რეკას პატარა ზარების წკარა-წკური მოჰყვა... ეკკლესია და მისი კარმიდამო ათას გვარად და ათას ფერად მორთულ-მოკაზმულის ქალითა და კაცით გაივსო... ზემოდ ვარსკვლავებით მოჭედილს ცას ციმ-ციმ-კამკამი გაუდის... ქვემოდ აურაცხელის სანთლებითა და კელაპტრებით ალაპლაპ-აკაშკაშებული ეკკლესიის გალავანი სამოთხეს დამსგავსებია.

ლიტანიაა... მგალობელთა გუნდი მწყობრად და დიდებულად ამბობს აღდგომის სხვა-და-სხვა საგალობელს... ყველას ერთნაირად ესმის რაღაც საიდუმლო, რაღაც დიადი და უცნაური ხმა, რომ დაითრგუნა ბოროტი და გამარჯვების ბურთ-მოედანი კეთილს დარჩა. დღეს კეთილი თავის ძლევამოსილების დღესასწაულობს. დღეს სიმართლის მზე ბრწყინავს და ჭეშმარიტების დროშაა აფრიალებული. დღეს „ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთ მხსნელი" ღმერთი აღსდგა. აღსდგა მონობის დამხობი და სიყვარულის დამფუძნებელი ღმერთი. აღსდგა მშიერთა და უძლურთა, გლახაკთა და დავრდომილთა შემწყნარებელი ღმერთი. აღსდგა ქვრივთა და ობოლთა, სნეულთა და პყრობილთა გამკითხავი ღმერთი. აღსდგა ღმერთი, „ცხოვრების მომნიჭებელი", ქრისტე აღსდგა.

ლიტანია გათავდა... წირვაც გამოვიდა... ქრისტეს აღდგომის მედღესასწაულე ერი ეკკლესიიდამ გამოიკრიბა და ერთმანეთს ეამბორება, დღესასწაულს ულოცავს. უცებ ვიღამაც იკითხა:

— ვასო სად არის დღეს? ავად ხომ არ არის, ყმაწვილებო?

— მართლა, რატომ აქამდე არ მოგვაგონდა! ეს რას ნიშნავს, რომ ვასო დღეს ეკკლესიაში აღარა სჩანს, დაურთო მეორემ.

— უსათუოდ ავად იქნება, თორემ სხვა დროს ვასომ ყველაზე ადრე იცოდა ეკკლესიაში მოსვლა,—მოისმა მესამის ხმა.

— აგერ მამა მისი, იმას ვკითხოთ და გვეტყვის ვასოს ამბავს,—სთქვა მეოთხემ.

ამ სიტყვებზე სოფლის ახალგაზდა ბიჭები ერთს ჭაღარა შერთულს, ზორბასა და უკმეხის სახის კაცს შემოეხვივნენ და თითქმის ერთხმა ჰკითხეს:

— ბატონო გიორგი, ვასო სად არის?

— მეც მიკვირს, რატომ აქამდის არსადა ჩანს. ისე გვითხრა, რომ, ნუ მიცდით, ტანთ ჩავიცვამ და მოვალო. არ ვიცი, რა მოუვიდა და რატომ დაიგვიანა!

— მოავადებული ხომ არ იყო?

— არა.

— მაშ გავწიოთ, ბიჭებო, და სახლში მივულოცოთ კვერცხი,სთქვა ერთმა.

— კვერცხი მივულოცოთ და ისიც ვსთხოვოთ, რომ დღეს სათამაშოზე მაინც უსათუოდ გამოვიდეს, თორემ უიმისოდ, შენი მტერია, ჩვენს თამაშს შნო არ ექნება... გოგოებიც მოიწყენენ, დაუმატა მეორემ.

— აბა, გავწიოთო, სთქვეს და გაუდგნენ ვასოს სახლისაკენ.

II

სოფლის ბიჭები მართალნი იყვნენ, როცა ამბობდნენ, რომ თუ დღეს ვასო ჩვენთან არ დარჩა, ჩვენს თამაშს შნო და ლაზათი არ ექნებაო. ვასო მთელი იმ სოფლის სული და გული იყო, ყველა იმის ქებაში იყო და ძაგებას-კი ვერავისგან ვერ გაიგონებდით. განსაკუთრებით გლეხის ბიჭები აღმერთებდნენ, რადგან სხვისავით მედიდურობა და მამლა-ყინწობა არ იცოდა. ყველას ტოლ-სწორობასა და ძმობა-მეგობრობას უწევდა, ყველასთან წყნარი და თავ-მდაბალი იყო და მასთან იმდენად მხიარული, რომ მართებულებისა და ზრდილობის წეს-რიგი არ დაერღვია.

თუმცა ბრწყინვალე გვარი ვასოს ნებას აძლევდა, რომ გლეხის ბიჭებისათვის თავი არ გაეყადრებია, მაგრამ ის ამ გვარს საქციელს ჭირივით ერიდებოდა. ვასო გლეხთა ჭირისა და ლხინის მოზიარე იყო. იმათთან ერთად არც მუშაობას თაკილობდა და არც სხვა საქმის დაჭერას. ყველა ამასთან ჩინებული მომღერალი იყო, შეუდარებელი მოცეკვავე, უბადლო ცხენოსანი და ბურთის თამაშში ხომ, რაღა, მისი მოგონილი იყო. ცურვასა და თევზაობაშიაც არავის ჩამორჩებოდა.

ბევრს გასათხოვარ ქალს მოსწონდა ვასო, მაგრამ ვასოს მხოლოდ ერთი მოსწონდა. იმისთვის იწოდა და იდაგებოდა, იმას უკმევდა გუნდრუკსა და საკმეველს, იმას აღმერთებდა და ამეფებდა, უიმისოდ სიცოცხლე არარად მიაჩნდა. იმის სახელზე ლექსებიც-კი დასწერა.

დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ ვასო უსწავლელიც არ ყოფილა. გიმნაზიის უკანასკნელი კლასიდამ იყო გამოსული. რატომ არ დაამთავრებიეს სწავლა, არ ვიცი, მხოლოდ იმას-კი ვიტყვი, რომ ნიჭითაც და ხასიათ-ზნეობითაც, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ სამაგალითო იყო.

ორი წელიწადი გავიდა მას აქედ, რაც ვასო მიჯნური გახდა. ორის წლის განმავლობაში სულსა და გულში სიყვარულის გაუნელებელი ცეცხლი ჰქონდა მოკიდებული, რის გამოც იწვოდა და იდაგებოდა, მაგრამ, საუბედუროდ შველა არსაიდამ იყო.

რა იყო მიზეზიო, იკითხავთ თქვენ, რომ ვასომ, აჰ ყველა ღირსებით შემკულმა ახალ-გაზრდამ, თავის საწადელს ვერ მიაღწია.

მოგახსენებთ.

მან შეიყვარა ერთი გლეხის გოგო, რომლის მამა ამ ოც-და-ათის წლის წინად ვასოს მამას შინა-ყმა იყო და მარტო ეს ამბავი კმაროდა, რომ ამ სიყვარულისათვის ფრთები შეეკვეცათ. ვასოს მშობლები და, მშობლებს გარდა, ყველა ნათესავები წინააღმდეგნი იყვნენ ამისი. არ უნდოდათ, რომ ვასო გლეხის ქალს შეუღლებოდა და მით წმინდა სისხლი გაუწმინდურებულიყო. შესაძლებელი იყო, ეს დაბრკოლება, როგორმე დაძლეულიყო, თუ რომ ვასოს საყვარელის დედ მამა შეძლებულნი ყოფილიყვნენ და რამდენიმე ათასი მანეთის მოცემა შესძლებოდათ. მაგრამ, სამწუხაროდ, ესეც არ იყო, რისგამოც ერთის მხრით საბრალო ვასო და მეორეს მხრით იმისი საყვარელი იძულებულნი ხდებოდნენ საუკუნოდ ჩაექროთ გულში ეს ზეგარდმო მადლით ანთებული ნაპერწკალი, რომელსაც სიყვარულს უწოდებენ.

ვასომ ყოველივე ღონისძიება იხმარა, რომ როგორმე თავისი გაეტანა მაგრამ ამაოდ. დედ მამისა და ნათესავთა დაჟინების ბრჭყალებს ვერსად წაუვიდა. ბოლოს, რა-კი ნახა რომ იმისი წმინდა სიყვარული შეაგინეს და ფეხ-ქვეშ ამოიდეს, რა-კი დარწმუნდა, რომ ამ ბრძოლაში ის სრულიად უძლური იყო და არაფერი წამალი და საშველი ამ ქვეყნად აღარ დარჩენოდა, შურის-ძიების გრძნობამ შეიპყრო. მერე ვის წინააღმდეგ უნდა ეხმარა ეს შურის ძიება? რასაკვირველია, მშობელთა და ნათესავთა ვერ ამოიღებდა ნიშანში, რადგანაც, რაც უნდა ყოფილიყო, ეს ადამიანობის უარ-ყოფა იქნებოდა და ეს მისთვის სათაკილო საქციელი იყო.

მაშ რაღა დარჩენოდა?—თავის თავი.

დიდი ხანია, გადაწყვეტილი ჰქონდა, შური ეძიებია, მაგრამ ის-კი ვეღარ გამოერკვია, თუ როგორ. აი, დღეს ჰიეცა შემთხვევა. მისის აზრით, დღეს თუ რამეს აუტეხდა თავის თავს, ამით სასტიკად დასჯიდა თავის მართლა რომ სასტიკსა და შეუბრალებელ მშობელ ნათესავებს, რომელთაც შეაგინეს და შეურაცყვეს იმისი წმინდა სიყვარული, რისთვისაც დღეს მკვდრეთით აღდგომილი ღმერთი ჯვარს აცვეს. ვასო ჰფიქრობდა, რომ ჩემმა ამბავმა და გადასავალმა, შეიძლება, სხვა ჯიუტ მშობელთა კერპი გული მოალბოსო; შეიძლება სხვას მაინც გამოადგეს „გზად და ხიდადაო". ხოლო ჩემთვის სულ ერთია: სიცოცხლესთან კავშირი გამიწყვიტეს და ამის შემდეგ სიცოცხლეს აღარც-კი ვატარებ, არამედ ვათრევო.

ეს იყო მიზეზი, რომ დღეს ვასომ თავისი მშობლები ეკკლესიაში გაისტუმრა და თითონ-კი სახლში დარჩა. ადგა, ხელ-პირი დაიბანა, ტანთ ჩაიცვა და ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო.

„მაშ ასე—ფიქრობდა ის: ყოველფერი მოსაზრებული და გადაწყვეტილია. შველა არსაიდამ არის. ყოველივე ანგარიში ცხოვრებასთან დღეს უნდა შევსწყვიტო და გავათავო. დღეს, როცა ღმერთი სიყვარულისა, ღმერთი ერთობისა და თანასწორობისა მკვდრეთით აღსდგა, მე სამარეში უნდა ჩავიდე, რადგანაც ამ სიყვარულის გზაზედ გადამელობენ და გადამელობენ იმიტომ, რომ არა სწამთ არც ერთობა,არც თანასწორობა.დღეს, როცა მკვდართა ცხოვრების მიმნიჭებელი ღმერთი აღსდგა, მე ცოცხალმა კაცმა ჩემისავე ხელით უნდა მოვისპო სიცოცხლე დიაღ, სიცოცხლე. რა ძნელია, რა აუტანელია! როცა ბუნება იღვიძებს და ცოცხლდება, როცა ყოველს ქმნილებას სული ჩასდგმია და თვალები გაუხელია, მე სამუდამოდ უნდა დავიძინო, საუკუნოდ უნდა დავხუჭო თვალები. მე უბედური! ამიერიდგან ვეღარც კეკლუცს გაზაფხულს ვნახავ, ვეღარც მხიარულს აღდგომას მივეგებები. ან-კი რასაჭიროა ესენი ჩემთვის? რითაც გაზაფხულის სიკეკლუცეს გავიგებდი, რითაც აღდგომის სიხარულს შევიტყობდი, იმას ხომ ხელიდამ მაცლიან. უთამროდ ჩემთვის არც გაზაფხულია, აღარც აღდგომაა. დარწმუნებული ვარ, რომ თამროც ამასვე გრძნობს, თამროს სულსა და გულშიაც ეს ცეცხლი ტრიალებს და ეს უფრო მიკიდებს ცეცხლს და ალს.

„ოჰ! შეუბრალებელნო მშობელნო! განა ამიტომ ჩამიდგით სული, რომ თქვენვე ამომართვათ! განა იმიტომ გამზარდეთ, რომ ასე უდროოდ დამამიწებდით. შეიძლება, ახლა თქვენ „ქრისტე აღსდგასა და ჭეშმარიტად აღსდგას" გაიძახით! გაქვთ-კი ამის უფლება, როცა არც ქრისტესი გაგეგებათ რამ და არც იმის ჭეშმარიტებისა! მართალია, მომიკალით გული, შემილახეთ კაცური გრძნობა და საუკეთესო ნიჭი; უპირველესი მადლი—სიყვარული ფეხ-ქვეშ გამითელეთ, მაგრამ, ეგონებ, მეც გადაგიხადოთ სამაგიერო. თუ ცოტაოდნად მაინც გაცხიათ ადამიანობის ნიშან-წყალი, დღევანდელი ამბავი შეგაშფოთებთ და შეგაძრწუნებთ. სულსა და გულს დაგიდაღავთ, გრძნობა-გონებას აგიფორიაქებთ, დღეს თქვენი შვილი წითელს კვერცხს აღარ მიილოცავს თქვენგან! გულმკერდში აღარ ჩაგეკონებათ და „ქრისტე აღსდგა"-ს აღარ გეტყვით. იმას დღეს „ქრისტე აღსდგა" დამბაჩამ უნდა უთხრას, ხოლო წითელის კვერცხის მაგიერობა-კი დაუნდობელმა ტყვიამ უნდა გაუწიოს. ვიცი, წითელ კვერცხს შავად შეჰღებავთ და სადღესასწაულო სამოსელს სამგლოვიაროდ ძაძა-ფლასად შეიცვლით, მაგრამ მე-კი ვერაფერს მიშველით. ვიცი ბევრს იტირებთ და ბევრს ივიშებთ, მაგრამ ამაოდ. ვფიქრობ, თუ პირადად არა, თქვენს გულში მაინც გატყდებით, რომ ამ უბედურების უბედური მიზეზი თქვენა ხართ და მით საკუთარის სინიდისის წინაშე დაიტანჯებით. ეს არის ჩემი შურის-ძიება, მე მეტი ვერა მოვახერხე-რა. ვერ გაგითენდებათ სასიამოვნო აღდგომა!

„ეჰ, ძნელი ყოფილა სიკვდილი, ხოლო უძნელესი-კი იმ კაცის მდგომარეობა, რომელიც თავისივე ხელით აპირებს სიცოცხლის მოსპობას!"

ყოველივე ეს და ათასი სხვა ამისთანა მწველი და მკვლელი ფიქრები გაიტარა ყმაწვილმა კაცმა გულში და მაინც ვერ შეურიგდა იმ აზრს, რომ უნდა ვიცოცხლოო.

მიუახლოვდა მაგიდას, სადაც საწერ-კალამი და წიგნები ელაგა. აკანკალებულის ხელით ორიოდე სიტყვა წააწერა იქვე ქაღალდზე და შემდეგ დამბაჩას მოჰკიდა ხელი.

„თავის თავის მკვლელიო,—ამბობს მეცნიერი,—ფიქრობდა ვასო—იმ ლაჩარსა ჰგავს, რომელიც გარბის, ვიდრე ომი არ გათავებულაო". მე-კი რამდენადაც შემეძლო, ომი გადავიხადე, მაგრამ დავმარცხდი, ფეხებიდამ თხემამდე შევიმუსრე, სულითა და გულით გავნადგურდი და რაღა დამრჩენია იმას გარდა, რომ ამ ცოცხალ-მკვდრობას გავექცე. ეს სილაჩრე კი არა, მოვალეობა მგონია ყოველის კაცისათვის, რასაკვირველია, ისეთის კაცისათვის, რომელსაც სიცოცხლესა და სიკვდილს შორის რამე განსხვავება შეუნიშნავს. ან სიცოცხლე სიცოცხლეს უნდა გავდეს, ან არა და შელახული და განახევრებული სიცოცხლე სიკვდილად უნდა შეიცვალოს.

„მაშასადამე, ახლა მხოლოდ დამბაჩასთან მიიწურა ჩემი საქმე. დამბაჩა! ოჰ დამბაჩა! მართალია, შენ უსულო

და უგრძნობო არსება ხარ, მაგრამ რაც უნდა იყოს, ჩემს მშობელთა ბევრის ღირსებით აღემატები. იმათ სულსა და გულზე ამაღებიეს ხელი და მაინც მეუბნებიან იცოცხლეო. ხოლო შენ-კი ერთბაშად მომისპობ სიცოცხლეს და გაათავებ. მერე რა გამოვა ყველა ამისაგან? რა უნდა გამოიდეს გარდა იმისა, რომ მოვკვდები, მოვკვდები რადგან სიცოცხლესთან დამაშორის-შორეს... მოვა გამომძიებელი და ოქმს შეადგენს, ცოცხალმა კაცმა თავი მოიკლა — და იმას-კი აღარავინ დაიჯერებს, რომ ცოცხალი აღარ ვყოფილვარ. შეიძლება გაზეთშიაც დასწერონ ორიოდე სიტყვა, მაგრამ იქაც იმასვე გაიმეორებენ. მე-კი დარწმუნებული ვარ, რომ ცოცხალი კაცი თავს არ მოიკლავს, არამედ ცოცხალ-მკვდარი.

ეს არის და ეს... მშვიდობით ქვეყანავ... არა ქვეყანა-კი არა თამრო, ჩემო თამრო! ქვეყანას ვგმობ და ვსწყევლი, რომ შენთან შეუღლების ღირსი არ გამხადა..“

ამ სიტყვებთან ერთად დამბაჩის ხმაც მოისმა. ახალ-გაზრდა კაცის სპეტაკი და განიერი შუბლი ტყვიამ გაარღვია: ვასო იატაკზედ დაეცა და მისი შავი და ხუჭუჭი თმა სისხლით შეიღება.

III

სოფლის ბიჭები უახლოვდებოდნენ ვასოს სახლს და გაკვირვებულნი ერთმანეთს ეკითხებოდნენ:

— ეს რას უნდა ნიშნავდეს, რომ ვასო აღარც ეზოში სჩანს. რა გულმა მოუთმინა, რომ ამდენ ხანს არ ამდგარა!

მიადგნენ ვასოს ოთახს, დააკაკუნეს კარზე, მაგრამ პასუხი არ ისმოდა.

— მაშ, დავიცადოთ, ვიდრე გიორგი და მართა მოვიდოდნენ, ისინი გააღვიძებენ, გადასწყვეტენ.

ისინიც ჩქარა მოვიდნენ. დედა მაშინვე ვასოს ოთახს ეცა, შეაღო კარები და ადვილი წარმოსადგენია, თუ რა საშინელი სურათი ნახა. მისი პირმშო შვილი შუბლ-გაპობილი იყო და სისხლში ცურავდა.

— ვაიმეო, შეჰკივლა და გულ-წასული იქვე მიცვალებულის გვერდით დაეცა.

ამ ამბავმა მთელი სოფელი შესძრა და შეაწუხა, მთელი სოფელი ააშფოთა და დაალონა.

— აღდგომა ჩაგვემწარაო, ამბობდნენ და იმას-კი აღარ ფიქრობდნენ, რომ საბრალო ვასოს მთელი სიცოცხლე ჩაუმწარეს.

ლ. წ–ძე

◆◆

ახალი ამბავი

⁂ 19 აპრილს იყო საგანგებო კრება ქალაქის საბჭოსი. თავმჯდომარემ, ბ-ნმა იზმაილოვმა, მოახსენა კრებას, რომ ეჩმიაწინში გარდაიცვალა სომეხთა პატრიარქი მაკარი და გთხოვთ პატივი ვსცეთ მის ხსენებას მით, რომ ყველანი ფეხზედ წამოვდგეთო. ხმოსნები ფეხზედ წამოდგნენ ნიშნად განსვენებულის პატივისცემისა. შემდეგ საბჭომ დაადგინა დეპეშა გაუგზავნოს ქალაქის თავის მოვალეობის აღმასრულებელმა, პ. ა. იზმაილოვმა, პატრიარქის მოადგილეს ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენელთა სახელით და გამოუცხადოს მათი მწუხარება იმ დანაკლისისა გამო რომელიც ეწვია სომეხთ-გრიგორიანების ეკკლესიას პატრიარქის გარდაცვალებით, ბოლოს თავმჯდომარემ სთხოვა ხმოსნებს მობძანდნენ ყველანი ერთად პანაშვიდზე, რომლის დანიშვნას იგი აცნობებს მათ ცალკე ბარათებით.

⁂ ბ-ნ გიორგი დავითის ძის ქართველიშვილის ქალებმა შემოსწირეს „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ლატარია-ალეგრისთვის 20 მანათის ნივთები.

⁂ წითელს პარასკევს მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი პალლადი მლოცველი იყო თავის კარის ეკკლესიაში, ეპისკოპოსებით ალექსანდრე და ბესარიონით და სხვა სამღვდელოებითურთ. ლოცვის შემდეგ გარდამოხსნა გამოასვენეს და ლიტანიით ჩაასვენეს სიონის ტაძარში. ლიტონიაზე ბრძანდებოდნენ: კავკასიის მთავარ-მართებელის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი გრაფი ტატიშჩევი, გენერლობა, ტფილისის გუბერნატორი და მრავალი მოხელენი საერო უწყებისანი. ხალხივე დიდ-ძალი იყო. დეკ. მ. ხელიძემ ამ დღის შესაფერი მოძღვრება წარმოსთქვა სიონის ტაძარში.

⁂ როგორც შევიტყეთ, ტფილისის ვიცე-გუბერნატორს ჩაიკოვსკის იგივე თანამდებობა მიუღია სხვა ადგილას და ამ დღეებში მიემგზავრება ჩვენის ქალაქიდამ.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს კ. პ. იანოვსკის ოფიციალურად აცნობეს პეტერბურგიდგან საერო განათლების მინისტრის კანცელიარიიდგან: ამ დღეებში დამტკიცებულ იქნა თქვენ მიერ წარმოდგენილი პროექტი იმის შესახებ, რომ ტფილისის პირველ კლასსიკურ გიმნაზიაში მეორე ინსპექტორი დაინიშნოსო. ამ გიმნაზიაში მეორე ინსპექტორად დანიშნული იქნება ამავე გიმნაზიის ერთ-ერთი მასწავლებელთაგანი, ფილოლოგი. ამ ახალს ინსპექტორს ჩაბარებული ექნება მხოლოდ პანსიონი, მეორე ინსპექტორს-კი — გიმნაზია.

⁂ ჩვენ შევიტყეთ, რომ 15 მარტს მოსკოვის საარხეოლოგიო საზოგადოებას ბ-ნი გიორგი ექვთიმეს ძე წერეთელი აურჩევია თავის წევრად-კორესპონდენტად.

⁂ გუშინ ამიერ კავკასიის რკინის-გზაზე ორის დღით შეაყენეს საქონლის მატარებლების მისვლა-მოსვლა.

⁂ ამ თთვის 17, დილის ხუთს საათზე კავკასიის მსროლელთა ყაზარმებთან საქონლის მატარებელს ქვეშ ჩავარდა ერთი ჯარის კაცი, გვარად კატკოვსკი, რომელიც იდგა რკინის გზის ლიანდაგზე. ამ დროს მომავალი მატარებელი დაეჯახა კატკოვსკის და გაუხეთქა თავი. საბრალო დაეცა რკინის გზის ლიანდაგზე მატარებლის ქვეშ, რომელმაც ზედ გადაიარა და ხელფეხი მოსწყვიტა. მატარებელი მხოლოდ მაშინ გაჩერდა, როდესაც ორმოც-და ათმა ვაგონმა საბრალოზედ ზედ გადაიარა.

⁂ 19 აპრილს დილის 9 საათზე რიყეზე იოსებ ბაბროვსკის ლუდხანაში მივიდა სოფ. ციოგოგონის მცხოვრებელი ანტონ თევზაძე და მოიწადინა ბაბროვსკისათვის პატენტის წართმევა. პატენტი ონისიმე ლორთქიფანიძისა იყო. მოუვიდათ ჩხუბი და ბაბროვსკიმ თევზაძეს ცული დასთხლიშა თავში. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

⁂ ამავე დღეს პოლიციის პირველს ნაწილში ნაშუადღევის სამს საათზე შეიპყრეს დიმიტრი კოჩიტოვი, რომელიც თავის თავს ხან ჯარის კაცად უწოდდა და ხან ადესის მცხოვრებლად, ხელში-კი არავითარი საბუთი არა ჰქონდა თავის ვინაობისა. კოჩიტოვი სპარსეთის ხალიჩებსა ჰყიდდა და 60 მანეთად ღირებულს ხალიჩას 3 მან. და 50 კ. ასაღებდა. ამ კაცს უპოვნეს დიდი სატეხი და გასაღებები ქურდობის დროს სახმარებელი.

⁂ 18 ამ თთვისას რიყეზე ტფილისის მცხოვრებლის შვილს 13 წლის ვასილ მურავიევს ტრეის დაჭერა უნდოდა, გადახტა და მარჯვენა ხელი მოიტეხა.

⁂ შტაბს კაპიტანს მუსხელოვს რომ ამას წინად სამი პალტო მოჰპარეს, ქურდი აღმოჩნდა შუშის მცხოვრებელი ქელბალაი კიში-ოღლი, რომელიც პოლიციამ შეიპყრო, ნაქურდალი უპოვნა და პატრონს გადასცა.

◆◆

იუდა

(ნადსონისა)

I

ქრისტე ჰლოცულობს... შუბლით ჩამოსდის
თავმოხრილს სისხლის ოფლისა ღვარი...
და ზაკვით სავსეს კაცთ-ნათესავსა
მაინც ავედრებს ღმერთს მაცხოვარი.
ზეგარდმო მადლის შარავანდედი
მის სახის ყოველ ასოდამ ჰკრთოდა
და მას ჯვარცმულსა თვისი ჯვართ-მცმელი
კაცი და ერი ებრალებოდა.
იგი ღიმილით შემბრალებელით
თვის უკანასკნელს იტანდა ტანჯვას,
იგი ითმენდა ეკლის გვირგვინის
უკანასკნელსა ტკივილსა და წვას.
ჯვარის გარეშემო სდგას ხალხის გროვა,
ზოგჯერ სიცილი ზრიალული ისმის...
ერს არ ესმოდა თუ ამ სიცილით
ჩირქ-მოსაცხებად ხელს ვისზე იწვდის.
ვერ მიმხვდარიყო მის ბრმა გონება,
ვის დასცინოდა სულელურადა,
ვის მისჯიდა უღირსო მტრობით,
და ვის სდევნიდა უგუნურადა.
რა დააშავა? რად აცვია ჯვარს
ვითა ქურდი და ვით მატანტალა?
ვინ კადნიერობს? ვის აღუმართავს
თვის მეუფეზე მკლავი და ძალა?..
იგი მოვიდა ამ ცოდვილ ქვეყნად
წმინდა, უბიწო სიყვარულითა
სწვრთნიდა, იღოცდა, იტანჯებოდა
ქვეყნის ცოდვით და სიბრალულითა.
ხოლო ქვეყანამ ვერ იცნო იგი,
არ მიიღო და არ შეიწყნარა
და საუკუნოდ თვის შესარცხვენად
მისი უმანკო სისხლი დაღვარა.
აღსრულდა!..

II

შუა ღამეა...
ცის ლურჯი ზღუდე, კამარა
წყნარად დაჰყურებს ქვეყანას
გუნდ ვარსკვლავების ამარა.
მთის გადაღმიდამ სხივები
ამოანათა მთვარემა
და შუქი უხვად მოჰფინა
მიწას პირ-მომღიმარემა.
ხან ფერ-მიხდილი შუქ-ფენით
ღრუბლებში წყნარად ვიდოდა,
ხან მთელის თვისის სინათლით
გოლგოთას ეფინებოდა.
მიწს მთლად მოცული ნისლითა,
შავებში გამოხვეული,
ძლივს ირკვეოდა ქალაქი
ჩამქრალი, დაძინებული.
მაღლობს-კი შავად მოჩანდა
ზარდამცემი სამი ჯვარი,
მხოლოდ ორზედ კვლავ ეკიდა
ორი ჯვართა-ცმული მკვდარი.
მესამე-კი აღარ იყო..
ჯვრიდამ ქრისტე გარდმოეღოთ,
დედამ ძმათ და მეგობრებს
მის სამარე ცრემლით ერწყოთ...

III

ეს ვინა სტირის? ვისია
ეს დაფარული გოდება?
ვინა სდგას შუა ჯვარის წინ?
რისთვის სწუხს და იტანჯება?
ვინ უნდა იყოს ეს კაცი?
ამ დროს რა უნდა გარედ?
ტანჯვის ბეჭედი მის სახეს
ზედ დასჩნევია მწარედ.
იქნება შორით მოსულა
განკურნების წყურვილითა,
რათა იესომ განსწმინდოს
ყოვლად ძლიერის სიტყვითა.
ემზადებოდა ხომ კიდეც
ქრისტეს ფერხთ ქვეშ ჩავარდნოდა,
ტანჯვათა შემსუბუქებას
ცრემლითა შეჰვედრებოდა.
მაგრამ, ვაი, ყოვლგნით ესმა
რომ იგი, ვის გროვა ერთა
ვით მეუფეს თაყვანს სცემდა,
ვინც ამ ბნელსა ქვეყანასა
ცის ნათელით ანათებდა,
ვინც ქვეყნიერ ბუთთ და კერპთა
საკმეველსა არ უკმევდა,
ვინც ბოროტსა და ცოდვასა
შეუპოვრად ამხილებდა, —
აღარ არის... გარდასრულა,
ქვეყნისგან მოძულებული,
გაწამებული ტანჯვით
ჯვარცმული, გვემულ-ცემული.
იქნება ან მოწაფეა...
აქ ფარულად მოსულ იყოს,
რომ თვის მოძღვრის ჯვარის წინა
მიწა ლოცვის ცრემლითა ჰრწყოს?
ან იქნება ცოდვილია,
შეუწყნარ-შეუნდობელი,
სინანულით აქ ცრემლსა ჰღვრის
შენდობის მავედრებელი?
არა, იგი იუდაა...
ის ბიწიერი გულითა,
ვინც ქრისტე გასცა, ქრისტე ჰგმო
ვერცხლისა სიყვარულითა.
ის არ ჰლოცულობს... ან ლოცვას
ვით ჰკადრებს გულით კრულითა! —
არც მოსულა, რომ უფლის გვამს
დაემხოს სინანულითა.
გონ-დაბნეული შმაგივით
ვიდოდა წარა მარადა,
და თვითც არ იცის, აქ ამ დროს
რამ მოიყვანა და რადა.

IV

როს საწამებლად გოლგოთის მთაზე
მიჰყავდა ქრისტე უგუნურ ხალხსა
და იგი ღონე გამოლეული
ძლივსა ჰზიდავდა ზურგითა ჯვარსა,
იუდა მალვით იყურებოდა...
და რა ჰნახა მან ღმერთი ტანჯული,
მაშინ-და შეჰკრთა და შეეზარა
თვისი ცოდვა და დანაშაული.
მაშინ გაიგო ვის უღალატა,
ვინ გაჰყიდა და ვინ ჰგმო, ვინ გასცა...
მაშინ-და იგრძნო, რომ მას შენდობას
აღარ აღირსებს მართლ-მსაჯული ცა.
შიშმა უღონომ, შიშმა მონურმა —
თანამავალმა ცოდვის და ბრალის —
დაისადგურა მას აქედ მის გულს
და ერთი წუთიც არ გადის დამის,
რომ მის გონებას გადასხუდს, სნეულს
სახე ქრისტესი არ წარმოუდგეს
და არ უფრთხობდეს მოსვენებასა...
ამაოდ ებრძვის ის უბედური
მოუშორებელს მოჩვენებასა...
ამაოდ სცდილობს აგებ მიიმალოს
გადამავიწყოს ყველა ყოფილი,
მაგრამ მილულავს თუ არა თვალსა,
კვლავ თვალწინ უდგა იგივ აჩრდილი.

V

აი წამებით დაჭრილ-კოდვილი
წმინდა მოძღვარი ჭეშმარიტების,
გვემულ-ცემული და ჯვართ ცმული
უმანკო სხვერპლი უგუნურების;
ღმერთი განსჯილი და დატანჯული
ბრმა და მოსყიდულ მსაჯულთ მსჯავრითა,
აი, მის თვალი მადლით აღსავსე
უტყვად მეტყველებს სამდურავითა.
გვირგვინი ეკლის, სიყვარულისა
ღმერთს მაცხოვარსა შუბლსა უწყლულებს
და თითქო მსჯავრი მძლავრი, სასტიკი
მის ბაგეთაგან წარმომდინარებს.
„გა, გამცემელე უბიწო ხილვავ,
მაკმარე ტანჯვა, აღარ მეჩვენო...
ერთს წუთსა მაინც მივლულო თვალი,
მოვკვდე, ვივიწყო და შევისვენო.
აი მიყურე... შენი გამცემი
აქ შენთა ფერხთ ქვეშ ჰგოდებს საწყალი...
ოჰ, შემიბრალე!.. გულს შუაზე ჰგლეჯს
ეგ შენი მშვიდი და წყნარი თვალი...
წარვედ.. განშორდი... ნუ, ნუ მიყურებ!..
ხომ ჰხედავ, მზად ვარ ჩემი მუხთალი
ამბორი ცხარის ჩავრეცხო ცრემლით,
მომეც ყოფილის მე დავიწყება,
მომეცი ღონე ხვეწნით, ვედრებით
შენ გამოვთხოვო სულისა შვება,
შენა ხარ ღმერთი! შენთა ხელთ არის
ყოვლის შენდობა და მიტევება.
მე-კი? ჯერ თვით შენ რომ არ დაგინდე
შებრალება მე მცოდნის განა?
არ შემინდობს და არ მაპატიებს
არცა ზეცა და არცა ქვეყანა“.

VI

სად წაუვიდეს იგი შავ ფიქრებს?
საით გაექცეს სასჯელსა მკაცრსა?
ქანცი გაუწყდა, შვება აღარ ერჩის,
გული ვერ უძლებს წვასა, დაგვასა.
რა ჰქმნას? ღამისა მეუდროებაში
უძრავად, ვით რამ ნათალი ქვისა,
აჩრდილი იგივ თვალ-წინ დაუდგა
ნიშნად წყევისა და განკითხვისა.
გარს კი მთვარის შუქით მოსხმული
ღამე ქვეყანას გადასხვევოდა
და შევერცხლილსა ქედრონის მთასა
შუქ ფენილს ჩრდილში ჩასძინებოდა.

VII

განვედ, გამცემო, კაცთ განერიდე!..
იცოდე კი, რომ არსად შენს გულსა
ვერ მოუღხენ და ვერ მოუსვენებ,
ვითა წყეულს და შეჩვენებულსა.
სადა-კი წახვალ, სად გინდა იყო,
გეღვიძება, თუ გექნება ძილი,
ვერსად წაუხვალ, წინ დაგიხვდება
ბედის-წერისა იგი აჩრდილი.
გა, გაეცალე!.. უწმინდურ ნუ ჰყოფ
შენის მთხვევითა ნათელ-მოსილს ჯვარს...
იგი წმინდაა, უკურთხებია
თვისის წამებით ქრისტე მაცხოვარს.
. . . .
და გამოიქცა...

VIII

ნახევარს ცასა
ზედ გარდაესხა ოქროს სხივები
და წითლად, ყვითლად აღეზნებული
გამოჩნდა შორსა ქედრონის მთები.
მზეც ამოვიდა და ამობრწყინდა
გვირგვინ მოსილი და დიდებული,
ყველა გაცოცხლდა... ტყეცა ჰხმაურობს,
დილის ნიავით გაღვიძებული.
შიგ შუა ტყეში მდინარე შუის,
და იქ, სადაც ტყე დაბურვილია,
სადაც ძლივს ატანს მზისა შუქიც-კი,
ხეზედა მკვდარი კაცი ჰკიდია.
ვერხვსა თავისი მწვანე ფოთოლი
ზედ, ვით სუდარა, გადუფენია
და უშველებელ ტოტებით თვისით
მკვდარს, ვით მეგობარს გადახვევნია.
მოკვდა იუდა... ვერ აიტანა,
ვეღარ გაუძლო ქენჯნას, ტანჯვასა,
მოკვდა .. და არც ცრემლს შესარიგებელს,
არცა ნატვრას და არც ნანვასა
არა შეუძრავს მის კრული გული
მჯავრ-დადებული და შერისხული.
გარნა მას სულის დალევამდინა
ერთს წუთს არ ჰქონდა ფონება, შვება,
და ცოდვისა მის მხილების ნიშნად
ელანდებოდა იგივ ჩვენება.
იგივე რისხვა, იგივე მსჯავრი,
ეგონა, ბაგით მისით სცემდა ზარს,
იგივ ეკლის და ტანჯვის გვირგვინი,
ზედ ედგა თავზე ღმერთსა მაცხოვარს.

ზაყელი

◆◆

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუარსაბ თათქარიძის აღდგომა

(ფანტაზია)

არც კუდიანი ვარსკვლავი გამოსდგომია მზეს და არც ძირი მოჰკრეხია იმ ხარის რქას, რომელზედაც ჩვენი ცოდვილი დედამიწაა დანდობილი; არაფერი არ მომხდარა ასეთი საზარელი, ღმერთმა დაგვიფარა, ასე წარმოიდგინეთ, ლილაც-კი არ გაცვეთილა. მხოლოდ აი რა მოხდა: პირველ გაზაფხულზედ ალუბლის აყვავილებასთანავე ქვეყნად დიდ-ძალი ქალღუა და მწერი გამრავლდა და მათ შორის ერთი უშველებელი ბუზიც გაჩნდა, ისეთი მსხვილი, ისეთი ზორბა, რომ, რომ არ შემრცხვეს, ცალი იმისი ფრთა ერთ კარგ ნასუქ კურატს დასჩრდილავდა და თითო იმისი ბარძაყი ცხრა ჩვენი ყალბი გირვანქა გამოვიდოდა. აი ამ დევ-გმირმა ბუზმა საიდგანღაც იმ ჩვენს კეთილის-მყოფელ ხართან ამოჰყო თავი და იმას მიაშურა თავისი გესლიანი, სპილოს ჩიჩვერის ოდენი ისარი.

მართალია, ძლიერი იყო ის ხარი, და ან როგორ არ იქნებოდა ძლიერი, როცა მთელი ქვეყანა ხახვის ფურცელსავით ცალს რქაზედ ჰქონდა დაყრდნობილი და ბაიბურშიაც არ იცდებდა, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, შორად პაწია რწყილის უპაწიავესი ბარტყი სამის ადლის სიგრძე და ადლნახევარ სიგანიანს კაცსაც-კი სულ ბუქნას ჩამოატარებინებს ხოლმე. აქაც ისე მოხდა: ჯერ-კი პატარა ხანს გაუძლო და მოუყურა ხარი ბუზმკრაზ ბუზის ისარს, მერე ორჯელ-სამჯერ დინჯად კუდი გადუქნია,—მოიშორდიო, მაგრამ, ამითიც რომ ვერ მოიგერა, თავისი მძლავრი კისერი ზურგისკენ მოიღერა, ერთი შევხედო რა არის, ასე ძლიერ რომ იკბინებაო, კისერს, რასაკვირველია, რქა მიჰყვა, რქამ დედამიწა გაიყოლია თან და...

სწორედ მერედ მოსვლა დატრიალდა. დედამიწა ჯერ მარცხნივ გადატოკდა, მერე მარჯვნივ გადმოტოკდა, დიდ-ძალი სახლი დაინგრა და დაილეწა, ზოგან მთა გაბარდა და ბარზედ უშველებელი მთა წამომქვევდა; კასპის ზღვა შავის ზღვის კალაპოტში გადმქანდა და შავის ზღვისა — კასპიისაში; ხონი ქუთაისის ადგილას მოექცა, ქუთაისმა ოზურგეთის ბინაზედ ამოჰყო თავი, გორი განჯასთან დასკუპდა და ყარაიაზი თავისის საზამთროს ბოსტნებითურთ ბათუმში გურიაზედ გამინდვრდა და გაეკდა... ეს კიდევ ისეთი დიდი უბედურება არ იქნებოდა, რომ პაწია უბნები და ქუჩები ერთმანეთში დომხალივით არ არეულიყვნენ: სოლოლაკმა გაიკუკიავა და კუკიამ გაიავლაბარა; მთელი კახეთი სულ ნაჭერ-ნაჭერ იქცა და ოცო-ბოდოს მოედო; ვინ იცის, რომელი სოფელი სად მოჰყვა...

ის იყო რიჟრაჟი ღამის წყვდიადს ნისკარტის კვრას უპირებდა და შავი და ბნელი ზეწარი უნდა გაერღვია. ხშირი ძაღლების ყეფა და მამლების ყივილი გაისმოდა. სახლები თითქმის უმეტეს ალაგას განათებულ-გაკაშკაშებული იყო, რადგან ქრისტეს მორწმუნე ერი, ვინც-კი საშინელს მიწის ძვრას გადარჩენოდა, მაცხოვრის აღდგომას დღესასწაულობდა და ბედნიერის ღიმილით ეგებებოდა დიდს სასწაულს. ვერის სასაფლაოს ერთს ბექობზედ, სწორედ ახალის ხიდის გასწვრივ, ერთი საფლავი გარღვეულიყო, ცხედარი კუბოიანად ბექზედ დაქანებულიყო და ხრამში წასულიყო ტრიალ-რიხინით. ის იყო ატოკებულ-დაგორებული კუბო შედგა, რომ ამ მკვდართა სადგომიდგან ცოცხალის ადამიანის ხმა მოისმა:

— დარეჯან, მოდი ერთი, ე მარჯნის ტუჩები დაგიწუწნო, ჩემო სულის ქარქვეტავ!

ცოტა ხნის შემდეგ კუბოს თავი თავის თავად გადმოვარდა და შიგ ცოცხალი ადამიანი წამოჯდა. ადვილად მიხვდებით, ვინ იყო ეს ადამიანი, კუბოში რად ჩაწოლილიყო და ან რას წამოეყენებინა. ეს გახლდათ კახეთის ბედნიერი თავადი ლუარსაბ თათქარიძე. მიწის ძვრას მისი სასაფლაო ქალაქისკენ მოეგდო, ლუარსაბს სადათაც ძალით სძინებოდა და, რაკი საშუალება მიეცა, თავიც წამოიწია.

პირველში რომ გამოეგნო ბრწყინვალე თავადი, ასე ეგონა, ტახტზედ ვგორაობ და დარეჯანიც აქვე იჯდება სადმე და მატყლის წინდის ჩხირებს მარჯვედ ათამაშებსო. ამიტომ თვალი არც-კი გაუხილებია, ისე ხმა მისცა. რაკი პასუხი ვერ გაიგონა, თვალი გამოახილა, ხელიც უნდოდა მიეტანა სახესთან მოსაფშენტად, მაგრამ რაღაც ფიცარმა დაუშალა და ფეთიანივით წამოტრინდა.

— დალახვრა ღმერთმა, ეს სადა ვარ?!

ლუარსაბმა მიაელ-მოაელო თვალი ახლად ნათელ-მოფენილს მიდამოს, მაგრამ ვერ იცნო ადგილი. შეშინებულის თვალებით დააცქერდა თავის კუბოს, დაბუჟებული ხელი ცხვირთან მიიტანა და... მარტო რომ ყოფილიყო, წივილსა და კივილს მორთავდა, მაგრამ რაკი ვერავინ დაინახა და შველის იმედი არავისგან ჰქონდა... ჩაფიქრდა.

ცოტ-ცოტა გონებაზედ მოეგნო, გაიხსენა, რომ დარეჯანი აღარა მყავს, გარდამეცვალაო, ხვდა იმასაც, რომ მეც მომკვდარვარ და დაუმარხივართო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, თურმე მოტყუებულან, ან იქნება მძინარეც ვიყავ და დავითმა და ელისაბედმა მტრობით ჩამფლეს მიწაში, რომ თავიდგან მოეშორებინეთ. დამაცადონ, მე ვაჩვენებ იმათაო. წამოდგა ფეხზედ და, როცა ქალაქს გადაავლო თვალი, დაინახა ეს უცნაური ქვეყანა, ეჭვში შევიდა და კვლავ ჭკუას დაატანა ძალა. ჭკუის მუშაობას შეუჩვეველი ლუარსაბი კარგა ხანს ვერ მიმხვდარიყო, სადა ვარო, და ამაოდ აქროლებდა აღმა და დაღმა ფიქრს.

მანამ ლუარსაბი ფიქრშია, მოდი ერთი დავათვალიეროთ, მკითხველო: თავი ამ ბრწყინვალე თავადს ისეთივე დიდი ჰქონდა, ხაშხაშა ლოყები თურაშაულ ვაშლსავით ასწითლებოდა და საშკეცი ტრფიალების აღმგზნები ღაბაბი დაოთხკეცებოდა; დიდრონი თვალები უწინდელებრ სისხლითა ჰქონდა შერეული, თითქოს ყელში თოკი წაუჭერიათო; გაბერილი, მეტად გონიერად გადმოგდებული, დიდ პატივსაცემი ღიპი, კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები და დამორილი, ყაწვილის კუბოს ოდენა, სხვილი ფეხები თავისავე ადგილას ჰქონდა. შავი შალის ჩოხა ეცვა, შარვალში იჯდა და შარვლის ტოტები მაღალ-ყელიან ყარაბაღულ თეთრ ჩექმებში ჰქონდა ჩაკეცილი; წვივებზედ სირაჯული გრძელ-ფოჩებიანი და პრტყელი ჩალსაკრავი ეკრა; თავზედ ლურჯი ყალმუხის ქუდი ეხურა და კისერზედ აბრეშუმის ქალალაია შემოეხვია. ერთის სიტყვით, სწორედ ისე იყო ჩაცმული, როგორც მაშინ, როცა თელეთში წავიდა სალოცავად.

რა მოიფიქრა ლუარსაბმა? არაფერი. რას მოიფიქრებდა ასე ჩქარა, როდესაც შიგ შუა ფიქრებში მუცელმა ამოსძახა: მშიან და მაჭამე რამეო. შიმშილის ხსენებაზედ ლუარსაბს თავისი უნუგეშო მდგომარეობაც დაავიწყდა, დარეჯანიც, და თვალებში ეხლა ჩაბუჟბუჟებული ჩიხირთმის ჯამი, ზურგიელი, თართი და სუკებილა ეჩხირებოდა. თუ არ ეს უეცარი მუცლის გამოლაპარაკება, მძღარი რომ ყოფილიყო, ჩვენი ლუარსაბი იქვე ბუნებრივს ტახტზედ გულ-გადაღლილი ერთს გადაგორდებოდა და ლაზათიანს ხვრინვას ამოუშვებდა; ეხლა-კი, მეტი ღონე არ იყო, უნდა მისულიყო ვისმესთან და კუჭის ტკივილისათვის ეღონისძიება რამე.

კარგა გათენებული იყო, რომ ლუარსაბი ქალაქში შემოვიდა. ეკკლესია დაინახა, პირჯვარი გადაიწერა და იქით მიაშურა. შევიდა და რა დახედა: სულ სუფთად, მაგრამ რაღაც უცნაურად ჩაცმული ქალი და კაცი იდგა. მღვდელი რომელღაც გარმიანულს ენაზედ ლოცულობდა და ქართულად კიდევ „ქრისტე აღსდგა" გაისმოდა.

— დალახვრა ჩემმა გამჩენმა! დაგიჟებულან, თუ სათათრეთის მეჩეთს გადავაწყდი! არა, თითქოს ქართულადაც ამბობენ რაღასაც და მერე უცებად სულ სხვას შემოურევენ ხოლმე. რა ვქნა, ქრისტიანები-კი არიან ვითომ?.. ჯვარი-კი უჭირავთ და პირჯვარსაც რომ იწერენ ჩვენებურად!

მღვდელმა რომ მოუჩქარა გარმიანულს ენაზედ ლოცვა და სიტყვები სულ ხეტყვასავით დააყარა ერთმანეთს, ლუარსაბმა ვეღარ მოითმინა და გაოცებისაგან ხმა-მაღლა წამოიძახა:

— ჰა, ბეჩა, როგორ წამოურია ი ღვდელმა!..

ყველამ თავი მოიბრუნა და ამ უცნაურად ჩაცმულს კაცს დაუწყეს ყურება. თითო-ოროლამ ჩაიფრუსტუნა კიდეც. მღვდელმაც-კი წყრომით გადმოხედა სირცხვილისაგან აწითლებულს ლუარსაბს. თვალი რომ არ მოაშორეს, ლუარსაბმა ვეღარ გასძლო და იქვე კარებიდგან გამობრუნდა. კარებში ვიღაც შავებში ჩაცმული ჩიხტ-კოპიანი დედაკაცი შეხვდა, სუტ-კნეინას მიამსგავსა, მაგრამ როცა მიუახლოვდა, ნახა, სხვა არისო, მაგრამ მაინც დაეკითხა:

— დედაშვილობას, ეს ეკკლესია რა რჯულისაა.

— ქართველებისაა, რა რჯულისა უნდა იყოსო, შეტევით უპასუხა მოხუცმა და გაშორდა.

ლუარსაბ გაოცებისაგან დასისხლიანებული თვალები ლამის გადმოუპარქავდა და უფრო ეჭვში შევიდა:

— სწორედ, სწორედ ენა შერევიათ... დალახვრა სამას სამოცდა სამმა წმინდა გიორგიმ, უცნაურად არა ლოცულობდნენ!..

გაშორდა ლუარსაბი და უნდოდა ნაცნობი ეპოვნა ვინმე, ან უცნობს დაჰლაპარაკებოდა ვისმე, მაგრამ ვინც-კი შეხვდა, სულ ყველანი ქართულად არა ჰლაპარაკობდნენ და შიშით ვერც ერთს ვერ უახლოვდებოდა. უკვირდა ლუარსაბს, რა ვქნა, ეს სადა ვარ, რა რჯულის ქვეყანაა? თუ ქალაქში ვარ-და, ეს ქართველები სად ეშმაკში გადახაფრულანო. ბოლოს, როგორც იყო, ერთს ეზოში შეიხედა და დაინახა ერთი ქართულად კაბაში ჩაცმული კაცი, რომელიც ბიჭს ელაპარაკებოდა. ესიამოვნა ლუარსაბს, ისე ესიამოვნა, რომ სიხარულის ნიშნად კბილებიც-კი დააკრაჭუნა, იფიქრა, თავადიშვილი იქნება, თავის სისხლის კაცს, რასაკვირველია, კარგად დამიხვდებაო, აიღო თავი და კარზედ მიადგა.

— მობძანდით, რა გნებავთ.

— ორიოდე სიტყვა უნდა გიახრათ.

— შემობრძანდითო, შეიწვიეს ოთახში: ვინა ბრძანდებით?

— ლუარსაბ თათქარიძე გახლავარ, კახეთის თავადიშვილი. თუ ღმერთი გწამთ, ერთი გამაგებინეთ, რა ქვეყანაა ეს თქვენი ქვეყანა?

მასპინძელმა, რომელიც სომეხი იყო, გაოცებით შეაჭყიტა თვალები.

— ვა, როგორ თუ რა ქვეყანა, ტფილისია რაღა!

— ტფილისი?.. ხალხი, რა ხალხი ცხოვრობს.

სომეხს გული გადაუქროლდა, გიჟი ხომ არ არისო.

— ინჩე ასუმ! სომეხი, რუსი, თათარი, ბერძენი, ფრანცუზი, ნემეცი... ვა, რას მასხარაობ კნიაზ?!.

— რა მემასხარავება, რას ამბობ!.. უბრალო ვინმე-კი არ გეგონო, კახეთში პირველ თავადიშვილად ვითვლები...

— ვა, რას ჩამციებიხარ, თავადიშვილი ვარო!.. რა უყო, რომ ხარ! ვითომ „მინისტრ ენუტრენიხ დელი" ყოფილხარ რაღა. შენ კნიაზობას ერთ გახვრეტილ გროშად არ ვიყიდი. ჩემი ბიჭი კიკოლიკა-კი არ არის კნიაზი, რომ წელიწადში თხუთმეტ მანეთად მემსახურება და ქვაბებს მიხეხავს.

— შენი ბიჭი თავადიშვილია და შენ, სომეხს, გემსახურება წელიწადში თხუთმეტ მანეთად?!

— მაშ, მაშ რა გეგონა. რა გინდა, კნიაზ, ჩემგან, თუ ტვინი გტკივა, „ჰოსპიტალში" წადი... მამაცხონებულო, ამ ბედნიერს დღეს სიფთა ხარ, მოსულხარ და მემასხარები...

ცივად წამოდგა და გამობრუნდა გულ-ნატკენი ლუარსაბი. ისე ეწყინა სომხისაგან მის ბრწყინვალების აბუჩად აგდება და ლაპარაკი, რომ, თავისს სიცოცხლეში არ დაჰმართებია ასეთი საქმე, შიმშილიც-კი დაავიწყდა.

— როგორ გაუკუღმართებულა ქვეყანაო, ჰფიქრობდა საბრალო გულ ჩათუთქული ლუარსაბი: თავადიშვილები სომხებს ქვაბებს უხეხავენ წელიწადში თხუთმეტ მანეთად, ქალაქი დარბაისელ ქართველების მაგივრად ათასის რჯულისა და მილეთის ხალხით ავსილა, ეკკლესიაში სულ უცნაურად ჰლაპარაკობენ... რა ვქნა, რამ შესცვალა ასე უეცრად ქვეყანა?..

ეკითხებოდა თავის თავს ლუარსაბი და, რასაკვირველია, გუმანიც-კი ვერ აიღო, რომ მის სიკვდილს შემდეგ ორმოცამდე წელიწადს წაეღო თქვენი ჭირი, მკითხველო, და უკუნეთის ჯურღმულს ჩაჰბარებოდა. კიდევ დიდხანს იქნებოდა ამ ფიქრებში ბრწყინვალე და ფაფუკი თავადი, რომ ქუჩაში ქართულ ლაპარაკისთვის არ მოეკრა ყური და ამ ლაპარაკს არ აელქვეტინებინა ყურები. ორი რუსულად ჩაცმული კაცი მობოლთავდა წყნარად და, ეშმაკად, ისინიც თავადობის შესახებ ჰლაპარაკობდნენ.

— თავადებს დორანი აბა უწინ ჰქონდათ, აიო, ამბობდა ერთი: ეხლა რაღაა იმათი სიცოცხლე?.. ამოდენა თავადიშვილობა სულ მზარეულებად არიან ქალაქში; ზოგი ვაჭრობს, მაგრამ ნეტა ვაჭრობაში მაინც გაიტანონ თავი... თითო-ოროლა მწერლადაც არის სასამართლოებში, მაგრამ რა, თვეში თუმანსა და ორ თუმანზედ მეტს ვეღარ იღებენ. მამულებისთვის იმათ ვეღარ მოუვლიათ და სულ ხელიდგანა აქვთ გამოცლილი. ეხლა გლეხია ბატონი, რადგან შრომა უყვარს, თავადი-კი გლეხობას ნატრობს და იმის ოდნობა ვერ გაუწევია...

— ეგ კიდევ რაო, უპასუხა მეორემ: ეხლა ხარჯიც შემოიღეს, მაგათაც აძლევინებენ სახელმწიფო ხარჯსა და სწორედ სულ დაწიოკებულები არიან...

— როგორ არ იქნებიან დაწიოკებულები, რა აქვთ, შენს ლხენას, რა გადაიხადონ. ამ რამდენისამე წლის წინად თითონვე გაიწერეს ფული სკოლებისათვის და კაცის თავზედ, წარმოიდგინე, ორ-ორ მანათის გამოღება ვერ შეიძლეს, რომ...

აქ-კი ყური ვეღარ დაუგდო ლუარსაბმა, მწუხარებამ აიტანა, ბოღმა ყელში მოაწვა და ჯავრით კინაღამ იქვე არ გადაიქცა.

— ქვეყანა სწორედ გადმობრუნებულაო, ჰფიქრობდა გულ-გახეთქილი ლუარსაბი: დიდი აქ აღარ არის და პატარა, ყველანი ღორ-ხბოსავით არეულან; ენა ამათ აღარ უვარგათ და გვარიშვილობას აღარა აქვს პატივი!.. თავადიშვილები რომ იქამდე დამცირებულან და სომხის პოიებს დასდგომიან მოსამსახურეებად, ნეტა ე ყმებს რაღა უყვეს... დალახვრა ღმერთმა, რა გაუჭირდათ ისეთი, კუტი მაინც როგორ აღარ მოეძევებოდათ სახლში, რომ სხვას არ მისდგომოდნენ...

კუტის ხსენებაზედ ლუარსაბს კვლავ თვალში ტყემლით გაკეთებული ბოზბაში, თართი და მცვრიანი მწვადები მოელანდა და ღიპზედ უნუგეშოდ და მწუხარედ მიისვ-მოისვა ხელი.

ამ გაჭირებაში იყო, ბინდდებოდა, რომ ვიღაც გალექილი რუსის დედაკაცი დაეტაკა და ისე ხმა-მაღლა დაუწყო ლანძღვა-გინება, რომ მთელი ქალაქი შემოახვია თავს. აქ საიდგანღაც პოლიციელიც გამოტყვრა და ორივეს, ლუარსაბსაცა და იმ დედაკაცსაც, პოლიციაში ამოაყოფინა თავი. სიმწარის ფიალას ეს ერთი წვეთი და აკლდა, რომ ავსო და გადმოედინა. საბრალო ლუარსაბი ისეთს გაჭირებაში ჩავარდა, რომ კინაღამ ყელი არ გამოიჭრა. პოლიციაში მიყვანამდე უზრდელმა პოლიციელმა ერთი ორჯელ თუ სამჯერ წაუთაქა კისერში და იქ ხომ ყურები გამოუჭედეს ფეხების ბრაგუნით. კიდევ კარგი, რომ ერთი ქრისტიანი კაცი გამოჩნდა და უთარგმნა პოლიციელის სიტყვები.

— ვინა ხარო? ჰკითხეს ლუარსაბს.

— კახეთის თავადიშვილი გახლავარ.

— სად დგეხარ?

— კახეთში, ყმა და მამული იქა მაქვს.

— თავად-აზნაურობის წინამძღოლის მოწმობა გაქვს?

ლუარსაბმა თვალები გამოაჭყიტა.

— რა მოწმობა, ვინ წინამძღოლი, თავადიშვილს რაღა მოწმობა უნდა?..

ლუარსაბს ოქმი შეუდგინეს, გამოუცხადეს, თუ სამს დღეში არ წარმოადგენ ქაღალდს შენის ვინაობისას, დაგაჭერინებთ და ისე გაგგზავნით შენს სოფელშიო, და გამოისტუმრეს.

თავ-ზარ დაცემულმა და გზა-დაბნეულმა ლუარსაბმა ისევ სასაფლაოსკენ გასწია, თითქოს სამშვიდობო ადგილი მარტო იქ-და იყო და თავი იმისთვის უნდა შეეფარებინა. გზაზედ ერთი ახალს ჩოხა-ახალუხსა და თათრულ დაგრეხილს ქალამნებში გამოწყობილი და დოინჯ-შემოყრილი გლეხი შეხვდა და იფიქრა, მოდი ერთი დაველაპარაკები, ვისი ყმა არისო:

— ბიჭო, შენ ეჰეი, აქ მოდი. ვისი ყმა ხარ?

გლეხი ცოტა შეზარხოშებული იყო და უცნაურად გაიღიმა.

— ჩემის თავისა, ვისი უნდა ვიყო!

— მაშ ბატონი არა გყავს?

— ვაიმე, ბიძიავ, აქამდე გეძინა? ბატონ-ყმობამ დიდი ხანია შენი ჭირიც წაიღო და ჩემიც თან გაიდევნა.

— სადაური ხარ?..

— დამანებე ერთი თავი, წარამარა ლაპარაკით ნუ მომდგომიხარ. გუშინ ას თუმნად მამული ვიყიდე, ტომბახი ჩამომასხმევინეს და ლაზათიანად გადავკარი.

გლეხ-კაცი უკვე გაბრუნდა და ერთ ათიოდე ნაბიჯზედაც იყო გაშორებული, რომ ფიქრებით დამძიმებულს ლუარსაბს რაღაც მოაგონდა და გამობრუნა უკან.

— თუ ღმერთი გწამს, ერთი ეს მაინც გამაგებინე, საიქიოსა ვართ, თუ სააქაოს.

— საიქიოსა ვართო, უხუმრა გლეხმა.

— მაშ აქ არავინა კვდება?..

— როგორ არა, კვდებიან და იმ ქვეყანას მიემგზავრებიანო, უპასუხა ღრეჯით გლეხ-კაცმა.

— დალახვრა ეშმაკმა, ეხლა-კი მივხვდი, ჩაილაპარაკა თავისთვის ლუარსაბმა: სწორედ საიქიოსა ვარ, თორემ ბატონ-ყმობის მოშლა სად გაგონილა?.. გავიგებდით მაინც ადრევე, ან გარესჯელი მკითხავი იტყოდა, ან კარაბადინში ამოიკითხავდნენ... ასე რომ არ იყოს, ესე უცნაურად რა შესცვლიდა თვალის ერთს დახამხამებაზედ ქვეყანას; რაც ჩვენში წაღმა იყო, აქ სულ უკუღმად გადაქცეულა. მგონი პირჯვარსაც-კი უკუღმა იწერდნენ, მარცხენა ხელით, კარგად ვერ შევნიშნე... მაგრამ არ მესმის, ეს როგორ არის, რომ იქ იხოცებიან, აქ მოდიან და აქ იხოცებიან, იქ მიდიან...

ამ დროს ლუარსაბს კუჭმა კვლავ წვა დაუწყო.

— დახაფრა ეშმაკმა, პური მაინც ეჭმევინათ, შიმშილისაგან ლამის გადავიქცე კაცი... აქ ალბად პურს სულ არა სჭამენ, ან საიქიოში საჭმელი სად გაგონილა... ვაი, ჩემო დათიავ, სადა ხარ, რომ ერთი კარგად არ გამიმასპინძლდები! არა, ისევ იქ წაველ, იქა სჯობია, იქაური ჭირი მირჩევნია აქაურს ლხინსა...

ასე გადასწყვიტა ლუარსაბმა, მივიდა, თავისს კუბოშივე ჩაწვა, შიმშილით ცალკე და ბოლმით ცალკე განუტევა თავისი ნათელი და ბრწყინვალე სული და განისვენა წიაღსა შინა აბრაამისასა, ისაკისასა და იაკობისასა.

ორ-ანი

◆◆

დღეში

18 აპრილი

ბერლინი. „Vossische Zeitung“ ამბობს, რომ არავითარი შემცირება პურის ბაჟისა არ იქმნება საკმაო გერმანიაში პურის მომხმარებელთათვის, თუ არ შეიცვლება ბაჟი რუსეთიდამ შემოსატან პურზედ. თუ რუსეთიდამ პური არ შემოვიდა, გერმანიას არ შეუძლიან იოლად წავიდეს: რაც გერმანიას უცხოეთის პური სჭირდება, იმაში ნახევარს რუსეთიდამ იღებს გერმანია, აგრეთვე საჭირო ჭვავის პურის ერთი მეხუთედი რუსეთიდამ მოსდის. გაზეთი ამბობს: ჭკუაზე ახლოა ვიფიქროთ, რომ რეიხსტაგის მიერ შეწყნარება სავაჭრო ხელ-შეკრულობისა უფრო იმაზე იქმნება დამოკიდებული, თუ რა ერთმანერთობა ჩამოვარდება გერმანიასა და რუსეთს შორისო. გაზეთის აზრით, შესაძლოა წინააღმდეგობამ მემარჯვენეთა და მემარცხენეთამ გამოიწვიოს დანაწილება რეიხსტაგისაო. ახალის არჩევნების ბოლო სწორედ იმიტომ იყო საკეთილო, რომ საარჩევნო დევიზად აღიარებულ იქმნა: პური იაფი უნდა იყოსო.

ლონდონი. მანიპურიდამ იწერებიან დეპეშით, 15 აპრილის თარიღით: „სამივე დასი ინგლის-ინდოეთის ჯარებისა გუშინ შევიდა მანიპურს, სადაც მცხოვრებნი სრულიად აღარ იყვნენ. სასახლის წინ ჯარებმა დაინახეს ბრიტანიის აფიცრების თავები. იქაური მოხელენი და მაღარაჯა გაიქცნენ ჩრდილო-აღმოსავლეთად.

პეტერბურგი. გუშინ მოვიდა აქ მთავარი ჩერნოგორიისა თავის ქალით დიდის მთავრინა მილიცა ნიკოლოოზის ასულითა და მინისტრ ბოჟიდარ პეტროვიჩითურთ. პეტერბურგის გუბერნიის საზღვარზე მთავარს მიეგება გუბერნატორი, ხოლო პეტერბურგის სადგურზე—დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და ზოგიერთი სხვა წევრნი უმაღლესის სახლეულობისანი. მათ უმაღლესობათა ჰქონდათ გაკეთებული ჩერნოგორიის ლენტები, მთავარს ეცვა ეროვნული ტანისამოსი და ანდრიას ლენტი ჰქონდა ზედ. მთავარი ჩამოხტა საზამთრო სასახლეში.

„Нов. Вр.“-ის გაუგონია, რომ სახელმწიფო საბჭომ დაამტკიცა აზრი კატორგის ახალ-შენებისა კასპიის ზღვის კუნძულებზედ კავკასიისა, თურქესტანისა და იმიერ-კასპიის მხრის იმ დამნაშავეთათვის, რომელნიც ვერ იტანენ ციმბირისა და სახალინის ჰავასაო.

პარიჟი. მუშათა მანიფესტაციის წინააღმდეგ 1 მაისს მიღებულ იქმნა სასტიკი ღონის ძიებანი: ქუჩაზე ყოველ-გვარი მანიფესტაციები აკრძალულია. იმედი აქვთ, რომ ეს დღე მშვიდობიანად ჩაივლის; ჯარები მაინც მზად იქმნებიან ყაზარმებში. საჭურველთ ხელოსნებს ებრძანათ უშიშარ ადგილს გადაიტანონ ტყვია-წამალი და პარასკევს დაჰკეტონ მაღაზიები. ტიულს საჭურველთ ქარხნის გამგეობამ განკარგულება მოახდინა, რომ სახელოსნოებს თავი არავი დაანებოს 1 მაისს, თორემ დავითხოვთო.

19 აპრილი

პეტერბურგი. „Прав. Вѣстникъ“ ი დიდის მთავრინა ოლღა თეოდორეს ასულის უკანასკნელ დღეების შესახებ იუწყება შემდეგს: უკვე 15 წელიწადია, რაც დიდს მთავრინას უკურნებელი სენი—გულის-ფრიალი—ჰქონდა. ამის გამო მუდამ საჭირო იყო მისთვის თბილი ჰავა და დამშვიდებული ცხოვრება. ესევე გარემოება იყო მიზეზი, რომ დიდი მთავრინა ჩვეულებრივზე ადრე გაემგზავრა ყირიმს. ამას ზედ დაერთო ის დიდი უსიამოვნო ამბავიც, რომელიც სამძიმო იყო მისთვის და მის დიდის საოჯახო თავ-მოყვარეობისათვის, სახელდობრ ის ამბავი, რომ დიდმა მთავარმა მიხეილ-მიხეილის ძემ ჯვარი დაიწერა ხელმწიფე იმპერატორის ნება-დაურთველად და მშობელთა ლოცვა-კურთხევის მიუღებლად. პირველ დღეს მოგზაურობისას, 27 მარტს, დიდი მთავრინა, მართალია, უჩიოდა მცირე ტკივილს კისრისა და ყელისას, მაგრამ მაინც კარგ გუნებაზე იყო, რადგან მალე მოელოდა ნახვა სამხრეთის ქვეყნის ბუნებისა და დიდის მთავრებისა ალექსანდრე და სერგი ალექსანდრეს-ძეთა, რომელნიც სევასტოპოლში უნდა დაბრუნებულიყვნენ ინდოეთიდამ. მაგრამ 27 მარტს ღამე მოუსვენრობით გაატარა; ხმა თითქმის წაუვიდა, ნერწყვის ყლაპვა გაუძნელდა; ჰგრძნობდა მწვავე ტკივილს კისრის სალსრებისას და ყელისას. სადგური ალექსანდროვკა უკვე გავლილი იყო, როცა გადაწყვეტილ იქმნა უკან დაბრუნება ისევ ხარკოვს. აქ პროფესორმა ობოლენსკიმ გასინჯა ავადმყოფი და ჰპოვა, რომ საზოგადოდ დიდს მთავრინას არა უჭირდარა. ვიდრე ავადმყოფი უკედ შეიქმნებოდა, ვაგონი მისი სათადარიგო ლიანდაგზე იქმნა გადაყვანილი. 29 მარტს უარესობა არა იქმნა-რა შემჩნეული; ხმა კიდეც მოუვიდა ნელ-ნელა; საზოგადოდ დღე ავადმყოფმა შედარებით საკმაოდ მშვიდობიანად გაატარა; ხოლო 30 მარტს დილით მისმა უმაღლესობამ დაიჩივლა, რომ მარჯვენა ფილტვის ძ ბეჭების ტკივილსა ვგრძნობ ცოტაოდნადაო. პროფესორმა გრუბემ, ობოლენსკიმ და დოქტორმა ფრანკოვსკიმ ერთად არჩიეს საქმე და გადასწყვიტეს, ისეთის წამლების ძლევა, რაც-კი შესძლებოდა გულის მოქმედების განგრძობა. ამ ხანად დიდმა მთავრინამ დაიჩივლა, რომ ვაგონში ცხელაო. ავადმყოფი ამის გამო გადაიყვანეს სადგურის სამეფო ოთახებში, მით უმეტეს რომ დღე თბილი იყო. 31 მარტს დიდი მთავრინა უფრო უარესად შეიქმნა და მკურნალების წამალი ვეღარას ჰშველოდა. სცდილობდნენ მხოლოდ განეგრძოთ მისი სიცოცხლე მეორე დღემდე, რადგან იმ დღეს ელოდნენ დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოოზის ძის მობრძანებას. მაინც ნაშუადღევის სამს საათზე თითქმის განუწყვეტელი ბოდვა დაეწყო. თითო-ოროლა ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქმული მისი სიტყვები შეეხებოდა უფრო იმ ამბავს, რომელმაც ორის დღის წინად გამგზავრებამდე ისე დიდად აღელვა. საღამოს რვა საათზე ცნობა დაეკარგა. დეკანოზმა პაველოვმა ლოცვები წაუკითხა და 11 საათსა და 50 წუთზე დიდმა მთავრინამ წყნარად და უშფოთველად განისვენა. მიცვალებული გასჭრეს და აღმოჩნდა, რომ სიკვდილის მიზეზი ყოფილიყო გულის დამბლა, წარმომდგარი იმ გარემოებით, რომ დიდ მთავრინას გულის ფრიალი ჰქონდა წინადვე დაჩემებული.

უმაღლესად დამტკიცებულის განაჩენით, რომელიც დაადგინა სამხედრო ოლქის სასამართლომ, სამსახურიდამ გადამდგარს გენერალ-მაიორს ფროლოვს აეყარა ჩინები, ორდენები, ყოველივე ღირსება და უფლება და გადაეწყვიტა გაგზავნა საცხოვრებლად ირკუტსკის გუბერნიაში იმ დანაშაულობათათვის, რომელიც ჩაიდინა ფინლიანდიის სამხედრო ოლქის ინჟინერების უფროსად ყოფნის დროს; ხოლო ინჟინერებს: პოლკოვნიკს კისლიაკოვს და პოდპოლკოვნიკს კეპენს აეყარათ ჩინები, ორდენები, ღირსება-უფლებანი და გადაეწყვიტათ გაგზავნა ტომსკის გუბერნიაში: კისლიაკოვს იმ დანაშაულობისათვის, რომელიც ჩაიდინა, როცა ჰმუშაობდა ვიბორგის ქალაქის ციხეთა გამგეობაში, და კეპენს, როდესაც ჰმუშაობდა სვეაბორგის ციხის აშენებაზე.

უწმ. სინოდმა ბრძანა ყველა ეკკლესიებში გარდახდილ იქმნეს სამადლობელი პარაკლისები იმის გამო, რომ დიდმა მთავრინამ ელისაბედ თეოდორეს ასულმა მიიღო მართლ-მადიდებელი სარწმუნოება.

რომში ელჩად ნამყოფი ბარონი იკსკული დათხოვნილ იქმნა სამსახურიდამ თხოვნისამებრ ავადმყოფობის გამო.

გესტემინდე. თავადს ბისმარკს ხელმეორედ კენჭის ყრის დროს სადეპუტატო არჩევნებზე მრავალი კენჭი ამოუვიდა.

პეტერბურგის ბირჟა 18 აპრილი.

	მყიდველნი	გამყიდველნი	გაყიდებულა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანეთიანი ოქრო .	6 64	— „	— „
ტამოჟნის კუპონები . .	— „	— „	133
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— „	— „	1 03
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— „	— „	244½
—მეორისა	224	— „	— „
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი	214	— „	217
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— „	— „	— „
ქუთაისის ბანკისა . .	— „	— „	— „
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . .	— „	— „	— „

განცხადებანი

ვარშავიდგან მოსულმა ხელოსანმა
დააარსა
ხელთათმანების სახელოსნო.
ვაკეთებ ახალს ხელთათმანებსა, ყელსახვევებსა და სხვ.
აგრეთვე ძველებს ვაახლებ და ვწმენდავ.
ხელოსანი ნაკონეჩნიკოვი
(2—2)

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში
ნაკვთები
დ. ერისთავისა
ფასი 50 კაპ.

მომავალ დღესასწაულებისთვის
ისყიდება კახეთის საუკეთესო ღვინოები თავ. ილია გრ. ჭავჭავაძისა და სხვა მემამულეების ვენახებისა.
ვედრა 2 მან. 40 კაპ. — — 10 მანათამდე
ბოთლი — — 15 კაპ. — — 1 მანათამდე
ღვინის სარდაფი იმყოფება შუა-ბაზრის თავში, ნოტარიუს ყიფიანის კანტორის ქვეშ.
სოლომონ თ. კურდღელოვი
(2—1)

ცენტრალური საგალანტერიო მაღაზია
პ. ი. ბროდსკისა
(ერევნის მოედანზედ, სემინარიისა და სკვერის პირ-და-პირ, ზუბალოვის სახლში)
რადგან ამ მაღაზიაში ვაჭრობა ისპობა, საბოლოოდ იაფად ისყიდება ბევრნაირი საგალანტერიო და ახალ-მოდის საქონელი და საოჯახო ნივთეულობა. ბევრია: ჯერსე, კორსეტები, ქოლგები, არშიების კასინკები, ოსმეტიური ნივთები, ლამპები, ჭურჭლეულობა და სხვ.-და-სხვ.
ქალაქს გარეშე მყიდველებისათვის ჩემი სავაჭრო გადავიტანე შუა-ბაზრის შესავალში, შიოევის სახლებში, სადაც წინად მერაბოვის მაღაზია იყო. (10—10)

„დასავლეთი“
ახალი რესტორანი, კურაზე, მებურნუთოვის სახლებში, ფოსტის სადგომის გვერდით.
რესტორანის სადგომი ახლად შეკეთებულია და თბილი. საჭმელები ევროპიული და ჩვენებური; საუკეთესო ბუფეტია. სასმელები ევროპიული და ჩვენებური.
სადილები დღიურად და თთვიურად შეიძლება თვითონ რესტორანში მიიღონ ან ბინაზე, შინ სახლში, წაიღონ. რესტორანში ცალკე ოთახებიცაა, მშვენიერად მორთული და მოწყობილი.
ფასები ყველაფრისა იაფია.
თავმდებნი ვართ, რომ ხორაგეული სუფთაა და ბუფეტი უნაკლულო.
ნ. ჩიკვაიძე და
ს. მელიძგაური
(40—26)

Доз. Цен. Тифлисъ, 20-го Апрѣля 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Меликъ. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.